ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2175132

ნომერი: AR1330781

თარიღი : 29.07.2015

გაცემის თარიღი : 04.09.2015

გაცნობის თარიღი : 07.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , I და II მ/რ-ებს შორის , სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 013/018) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ცისანა კაპანაძე პ/ნ 01013005655
- საჩხერე ს. ჭორვილა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28/07/2015წ. N2034503 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/07/2015წ. AR1330781 ერთობლივი განაცხადით მომართეს ცისანა კაპანაძემ და შპს „პრესტიჟი“–

ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400147453) დირექტორმა გელა ტაბატაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ამავე სამსახურის 28/07/2015წ. N2034503 ბრძანებაში, დამკვეთის ინფორმაციაში, ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 28/07/2015წ. N2034503 ბრძანებით, ქ. თბილისში, გლდანში, I და II მ/რ-ებს შორის, სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ნაკვეთი N013/018), შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 28.07.2015წ.-დან 28.07.2017წ.-ის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა ცისანა კაპანაძე.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882015396587, მომზადების თარიღი: 21/07/2015 18:59:30) თანახმად, დღეისათვის, ქალაქი თბილისში, გლდანში, I და II მ/რ-ებს შორის, სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი N013/018) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.018) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „პრესტიჟი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 400147453).
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.“
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28/07/2015წ. N2034503 ბრძანებაში და დამკვეთად, ცისანა კაპანაძის ნაცვლად, დაფიქსირდეს შპს „პრესტიჟი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 400147453).
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28/07/2015წ. N2034503 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.